მდგრადობის პოლისი

ჯორჯიან დიემსი

GEORGIAN DMC

მდგრადობის პოლისი შექმნილია Travelife-ის კრიტერიუმების
მიხედვით საქართველო, თბილისი

2024

სარჩევი

თავი 1: ჩვენი მდგრადობის მისია ... 3

თავი 2: შიდა მენეჯმენტი: სოციალური პოლიტიკა & ადამიანის უფლებები ... 4

ასოციაციის წევრობის უფლება ... 4

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ... 4

თანაბარი შესაძლებლობები ... 5

თანამშრომლის მიღების პოლიტიკა ... 5

თავი 3: შიდა მენეჯმენტი: გარემოს დაცვა & საზოგადოებასთან ურთიერთობა ... 6

ერთჯერადი მოხმარების ნივთების შემცირება ... 6

მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა ... 6

ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა ... 8

მდგრადი ენერგია ... 8

შუქის ჩაქრობის პოლიტიკა ... 9

ენერგო-ეფექტური აღჭურვილობა ... 9

ნარჩენების შემცირების პოლიტიკა ... 9

თავი 4: პარტნიორი ტურისტული სააგენტოები ... 11

კომპანიებთან თანამშრომლობის პოლიტიკა ... 11

თავი 5: ტრანსპორტი ... 12

გადაადგილება დანიშნულების წერტილამდე ... 12

თავი 6: განთავსების საშუალებები ... 13

ბავშვთა იძულებითი შრომა ... 13

ბავშვების სექსუალური ექსპლოატაცია ... 13

ადგილობრივი საჯარო რესურსები ... 13

თავი 7: აქტივობები ... 14

ველური ბუნების დაცვა ... 14

ველური ბუნების ხელყოფა ... 14

ველურ ბუნებასთან ინტერაქცია ... 14

თავი 8: ტურლიდერები, რეგიონალური თანამშრომლები და გიდები ... 16

დასაქმების პირობები ... 16

მომხმარებლებთან კომუნიკაცია ... 16

თავი 9: ტურისტული ადგილმდებარეობები ... 17

აკრძალული სუვენირები ... 17

თავი 10: მომხმარებლებთან კომუნიკაცია და მათი დაცვა ... 18

პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა ... 18

ინფორმაციის გავრცელება და საჯარო კომუნიკაცია ... 18

სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია ... 18

არალეგალური სუვენირები ... 20

თავი 1: ჩვენი მდგრადობის მისია

ჯორჯიან დიემსი მდგრადობის პრინციპების პრაქტიკაში დანერგვით, მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერებას, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებასა და თანამშრომლებისთვის ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას.

აღნიშნული პოლისი არეგულირებს ჯორჯიან დიემსის მენეჯმენტის, თანამშრომლებისა და სერვისის ადგილობრივი მომწოდებლების ქმედებებს მდგრადობის ხელშეწყობის კუთხით. მისი განხორციელება პოზიტიურად აისახება კომპანიის თანამშრომელთა ყოფასა და რეგიონებში მცხოვრებ იმ ოჯახებზე, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

თავი 2: შიდა მენეჯმენტი: სოციალური პოლიტიკა & ადამიანის უფლებები

ასოციაციის წევრობის უფლება

ჯორჯიან დიემსი მის თანამშრომლებს არ უზღუდავს პროფესიული კავშირების წევრობას, კოლექტიურ შრომით მოლაპარაკებებში მონაწილეობასა და პროფესიული კავშირების მხარ-დაჭერის მიღებას.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

ჯორჯიან დიემსი თანხვედრაშია ყველა იმ ადგილობრივ კანონთან თუ რეგულაციასთან, რომლებიც თანამშრომელთა და მომხმარებელთა (მოგზაურთა). კეთილდღეობას იცავენ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები აქტიურად დაიცავენ ჯანმრთელობის, უსაფრთ-ხოებისა და გარემოს დაცვის წესებს. ჯორჯიან დიემსი, თავის მხრივ კი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს:

- სამუშაო გარემო არის უსაფრთხო
- შემცირებულია თანამშრომელთა ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი რისკები
- დადგენილია და ასევე პრაქტიკაშია დანერგილი უსაფრთხოების დოკუმენტები
- ნებისმიერი ნივთი შენახულია შესაბამისი წესების დაცვით
- თანამშრომლებს წვდომა აქვთ პირველადი დახმარების საშუალებებზე
- თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, უტარდებათ ტრენინგები და მუდმივად კონტროლდება სამუშაო პროცესის უსაფრთხოება
- სამუშაო სივრცე აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებით
- ჰაერის ვენტილაციის სიტემა, განათება, საპირფარეშოები და სხვა შიდა ობიექტები თანხვედრაშია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან
- რეგულარულად მოწმდება თუ რამდენად დანიშნულებისამებრ გამოიყენება კომპანიის ოპერირებისთვის საჭირო აღჭურვილობა
- კონტროლდება ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს ჯანმრთელობისთვის
- მაქსიმალურად შეზღუდულია ისეთი საქმიანობები, რომლებიც თანამშრომელთა ფიზიკურ ჩართულობას მოითხოვს და შეიცავს სხეულის დაზიანების რისკებს
- საჭიროების შემთხვევაში სათანადო ყურადღებას ვუთმობთ თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას
- ჯამრთელობისა თუ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ნიშნები განთავსებულია წესების დაცვით
- აღვრიცხავთ თითოეულ ინციდენტს ან სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებულ ფაქტს
- ოფისი წესების დაცვით ნიავდება და თითოეული თანამშრომლისთვის უზრუნველყოფილია სუფთა ჰაერი
- ჰაერის ტემპერატურა შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან (სამუშაო სივრცეში მინიმალური ტემპერატურა განისაზღვრება 13 გრადუსით)

- ოფისის ყველა სივრცე სტანდარტის შესაბამისად არის განათებული
- სამუშაო სივრცე და აღჭურვილობა მუდმივად სუფთა და მოწესრიგებულია
- სამუშაო სივრცე საკმარისია შეუფერხებელი გადაადგილებისთვის (მინიმუმ 11 m^2 ერთ პერსონაზე)
- თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ყველა ნივთით
- იატაკი, კიბეები და სხვა მაკავშირებელი არეალები უსაფრთხოა გადაადგილებისთვის
- თანამშრომლები დაცულნი არიან მაღალი სართულიდან გადმოვარდნის საფრთხისგან
- ფანჯრები, კარები და გასასვლელები აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს
- ოფისი აღჭურვილია სუფთა წყლითა და ხელსაბანებით
- თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან კანონით დადგენილი შესვენებითა და შვებულებით
- ასევე გარანტირებულია ველზე მომუშავე თანამშრომლების უსაფრთხოებაც

თანაბარი შესაძლებლობები

ღირსეულად და პატივისცემით ვეპყრობით თითოეულ თანამშრომელსა და ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული პირს განურჩევლად მათი რასისა, ეთნიკური წარმომავლობისა, მოქალაქეობისა, ენისა, რწმენისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, სოციალური სტატუსისა, შესაძლებლობებისა და სხვა.

თანამშრომლის მიღების პოლიტიკა

ჯორჯიან დიემსი არ ასაქმებს 14 წლისა და უფრო ნაკლები ასაკის ბავშებს ზრდასრულთათვის განკუთვნილ სამუშაო პოზიციებზე.

თავი 3: შიდა მენეჯმენტი: გარემოს დაცვა & საზოგადოებასთან ურთიერთობა

ერთჯერადი მოხმარების ნივთების შემცირება

ჯორჯიან დიემსი უერთდება იმ იდეას, რომ ერთჯერადი ნივთების მოხმარება უარყოფით გავლენას ახდენს სათბური აირების გამოყოფასა და კლიმატის ცვლილებაზე. აღნიშნული გამოწვევის დაძლევის მიზნით, გადავწყვიტეთ, რომ შევიმუშაოთ ერთჯერადი ნივთების რაციონალურ გამოყენებაზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურა. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევამციროთ ერთჯერადი გამოყენების ნივთების მოხმარება, რესურსები ავითვისოთ რაციონალურად და შესაბამისად მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ქმედებები. ჯორჯიან დიემსის აქტიურად დაიწყო 5R პრინციპის პრაქტიკაში დანერგვა:

შეზღუდვა	შესყიდვის განხორციელებამდე ვსვამთ კითხვას, ნამდვილად გვჭირდება თუ არა კონკრეტული ერთჯერადი გამოყენების ნივთი
შემცირება	ვარკვევთ შეგვიძლია თუ არა ერთჯერადი გამოყენების ნივთზე უარის თქმა ან მისი მდგრადი ალტერნატივებით ჩანაცვლება
ხელახალი გამოყენება	ვაანალიზებთ ნივთის მრავალჯერ და ხანგრძლივად გამოყენების პერსპექტივას
სხვა მიზნით გამოყენება	ვცდილობთ ერთჯერადი გამოყენების ნივთების სხვა დანიშნულებით მოხმარებას
გადამუშავება	ნივთის გამოყენების რესურსის ამოწურვის შემდეგ უზრუნველვყოფთ მის გადამუშავებას

მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა

მდგრადობის ხელშეწყობის კუთხით აღებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, ჯორჯიან დიემსიმ შექმნა "მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა". ამ მიმართულებით აქტიურად ვცდილობთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. აღნიშნული პოლიტიკა აერთიანებს პროდუქციისა თუ მომსახურების შესყიდვის ისეთ მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, ისე და სოციალურად პასუხისმგებლიანი ინიციატივების მხარდაჭერას. ნებისმიერი შესყიდვის განხორციელებამდე ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ვაფასებთ მის მიზანშეწონილობას:

- ☐ ნამდვილად გვჭირდება თუ არა აღნიშნული პროდუქტი?
- ☐ შეიძლება თუ არა კონკრეტული ნივთის დაქირავება მისი შესყიდვის ნაცვლად?
- ☐ ერთჯერადი მოხმარებისაა ნივთი თუ მისი გამოყენება ხანგრძლივად არის შესაძლებელი?
- ☐ წარმოქმნის თუ არა შესაძენი ნივთი დაბინძურების საფრთხეს პლანეტისთვის?
- ☐ შეგვიძლია თუ არა კონკრეტული პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლისგან შეძენა?
- ☐ შეგვიძლია თუ არა ნივთების დიდი რაოდენობით შესყიდვა და მავნე ემისიების თავიდან არიდება?

ახალი ნივთის შესყიდვამდე	◻ ვაახლებთ ან ახალი დანიშნულებით ვიყენებთ უკვე არსებულ ნივთებს
უპირატესობას ვანიჭებთ	◻ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც შექმნილია საზოგადოებებისა და პლანეტის კეთილდღეობის გათვალისწინებით. მაგალითად, ადგილობრივი ნაწარმი, გადამუშავებული ნივთები, ნატურალური პროდუქტები და სხვა ◻ ადგილობრივ მწარმოებლებს რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან მდგრადობის კუთხით ან აქვთ მდგრადობის პოლიტიკა ◻ მწარმოებლებს რომლებიც იცავენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის რეგულაციებს
ვყიდულობთ ერთიანად	◻ ვცდილობთ ნივთების შესყიდვისას თავიდან ავირიდოთ დამატებითი შეფუთვები, ამიტომ მომწოდებლებს ვაფრთხილებთ, რომ პროდუქტი მოგვაწოდონ დამატებითი შეფუთვის გარეშე ან მის შესაფუთად გამოიყენონ მდგრადი საშუალებები
შენიშვნა ჩვენ უარს ვამბობთ არქეოლოგიური/ისტორიული არტეფაქტების ან/და ისეთი პროდუქტების შეძენაზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ფლორას და ფაუნას	

შესყიდვის კრიტერიუმები ცალკეული ნივეებისადმი	
ქაღალდი	ვყიდულობთ მხოლოდ ეკო-მეგობრულ და სერტიფიცირებულ თაბახის ფურცელს
ნათურები	ვყიდულობთ ლედ ნათურებს და ვითვალისწინებთ ენერგიის მოხმარებას (ვატში) და სინათლის გამოყოფას (ლუმენში). სტანდარტის მიხედვით ნათურა მოხმარებულ ვატზე მეტ ლუმენს უნდა გამოყოფდეს.
ელექტრონული მოწყობილობები	ვყიდულობთ თანამედროვე, ინოვაციურ და მრავალწლიანი მოხმარების მოწყობილობებს
ჩაი და ყავა	ვყიდულობთ პირდაპირ მწარმოებლისგან ან სერთიფიცირებული მომწოდებლისგან, დიდი რაოდენობით
ჰიგიენური საშუალებები	ვყიდულობთ ისეთ საშუალებებს, რომლებსაც ნაკლები უარყოფითი გავლენა აქვთ გარემოზე და ჩვენს თანამშრომლებს ვატრენინგებთ ჰიგიენური საშუალებების ეკო-მეგობრულად გამოყენების მეთოდებში
ოფისის აღჭურვილობა	მუდმივად ვეძებთ ეკო-მეგობრულ ალტერნატივებს
საღებავები	ვყიდულობთ ტყვიისგან თავისუფალ და წყალზე დამზადებულ საღებავებს, რათა თანამშრომელთათვის უზრუნველვყოთ უსაფრთხო გარემო

ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა

ჯორჯიან დიემსი მიზნად ისახავს შეამციროს ენერგიის მოხმარება და შესაბამისად, თანმდევი უარყოფითი შედეგებიც. ჩვენ შევიმუშავეთ სიღრმისეული პოლიტიკა, რომელიც შემდეგი ამოცანების შესრულებაზეა ორიენტირებული:

- შევამციროთ ენერგიის მოხმარება კომპანიის ოპერირებაში
- მაქსიმალურად ოპტიმალურად გამოვიყენოთ ნებისმიერი ტიპის ენერგია
- გავანათლოთ ჩვენი თანამშრომლები ენერგო ეფექტიან ქცევასთან დაკავშირებით

N	ჯორჯიან დიემსის „ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა“ ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება
1	ჯორჯიან დიემსის პერსონალი ფლობს ინფორმაციას გათბობისა და გაგრილების ენერგო ეფექტურ მეთოდებზე, ახორციელებს მათ პრაქტიკაში, რათა არასამუშაო პერიოდში მაქსიმალურად დაზოგოს ენერგორესურსები
2	ოფისი აღჭურვილია ენერგო-ეფექტური ლედ ნათურებითა და თანამშრომლები აქტიურად აღასრულებენ „შუქის ჩაქრობის“ პოლიტიკას
3	ოფისი აღჭურვილია ენერგო-ეფექტური კომპიუტერებითა და პრინტერებით. თითოეული მოწყობილობა მომართულია ენერგო-ეფექტიან რეჟიმზე
4	ჯორჯიან დიემსის პერსონალი აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის მეთოდს, ხოლო დიდი მოცულობის ფაილების გასაგზავნად მივმართავთ ონლაინ ბაზებში დოკუმენტების ატვირთვისა და ბმულების გენერირების პრაქტიკას.

ჯორჯიან დიემსი რეგულარულად აღრიცხავს ნებისმიერი ტიპის ენერგიის მოხმარებას და შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აფასებს „ენერგორესურსების მოხმარების შემცი-რების პოლიტიკის“ ეფექტიანობას. ნებისმიერი უკუკავშირი გათვალიწინებულია ენერგო რესურსების მოხმარების სტრატეგიაში და მუდმივად ვცდილობთ ამ კუთხით წარმატებული ნაბიჯების გადადგმას.

ჯორჯიან დიემსის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია მკაცრად იცავდეს ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკას. აღნიშნული პოლიტიკა მუდმივად განხილვისა და გაუმჯობესების ობიექტია, რათა მაქსიმალურად ინტეგრირდეს მასში საერთაშორისო პრაქტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები.

მდგრადი ენერგია

ჯორჯიან დიემსი ამჟამად იყენებს განახლებად ჰიდროენერგიას. თუმცა, ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ტექნოლოგიურ პროგრესს და მზად ვართ გადავიდეთ მდგრად მწვანე ენერგიაზე, როგორც კი ქვეყანაში ამის შესაძლებლობა გაჩნდება.

შუქის ჩაქრობის პოლიტიკა

2021 წელს ჯორჯიან დიემსის აამოქმედა „შუქის ჩაქრობის“ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ენერგიის დაზოგვასა და ბიზნეს ოპერირებაში მდგრადი პრაქტიკების დანერგვას. აღნიშნული პოლიტიკა რამდენიმე ძირითად პრინციპს აერთიანებს, რომელთა შესრულებაც თითოეული თანამშრომლისთვის სავალდებულოა:

კომპიუტერები	თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამორთონ კომპიუტერები შესვენების პერიოდში ან სამუშაო დღის დასრულების შემდეგ
კონდიციონერი	თანამშრომლები ვალდებულნი არიან გათიშონ კონდიციონერი ოთახის დატოვებისას. ასევე კონდიციონერის მუშაობის პერიოდში ფანჯრები და კარები უნდა იყოს დაკეტილ მდგომარეობაში, რათა მინიმალური დანახარჯით გაგრილდეს ოთახი
გათბობის სისტემა	თანამშრომლებ ვალდებულნი არიან დაკეტონ ფანჯრები და კარები როდესაც გათბობის სისტემა ჩართულია
გათბობისა და გაგრილების სისტემები	თანამშრომლები ვალდებულნი არიან ოთახის განიავებისას დროებით გათიშონ გათბობის რადიატორები
ელექტრონული მოწყობილობები	თანამშრომლები ვალდებულნი არიან გათიშონ ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობა როცა მათ არავინ იყენებს

ენერგო-ეფექტური აღჭურვილობა

გარემოს მდგრადობის შესანარჩუნებლად აღებული პასუხიმგებლობის ფარგლებში, ჯორჯიან დიემსი აქტიურად მიჰყვება ენერგიის ეფექტიანად მოხმარების თანამედროვე ტენდენციებს. ახალი აღჭურვილობის შესყიდვისას პრიორიტეტი ენიჭება ევროკავშირის ან Energy Star-ის მიერ აღიარებულ ენერგო-ეფექტიან მოწყობილობებს.

ნარჩენების შემცირების პოლიტიკა

ჯორჯიან დიემსის ნარჩენების შემცირების პოლიტიკა დაფუძნებულია 5R-ის პრინციპზე, რაც ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს შემდეგ მიდგომებს:

- გადამუშავებადი და მრავალჯერადი მოხმარების ნივთების გამოყენება
- საჭირო ინვენტარის ერთიანად შესყიდვა
- ზედმეტი შეფუთვების თავიდან არიდება
- მაღალი ხარისხის, მაღალი გამძლეობისა და მარტივად შეკეთებადი აღჭურვილობის შეძენა
- ერთჯერადი გამოყენების ნივთების მაქსიმალურად ათვისება
- ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთების ეკო-მეგობრულით ჩანაცვლება
- საკვებისთვის და წყლისთვის მრავალჯერადი მოხმარების სათავსოების გამოყენება
- ქაღალდის ჭიქების, პლასტმასის ბოთლების და სხვა მსგავსი ინვენტარის შეზღუდვა
- ძველი ავეჯისა და სხვა ინვენტარის საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაცემა
- ნარჩენების ეკო-ორგანიზაციებისთვის გადაცემა
- მრავალჯერადი გამოყენების ბოთლების პოპულარიზება

ნარჩენების შემცირების პოლიტიკის პროაქტიულ რეჟიმში განხორციელებამდე შევაფასეთ სხვა და სხვა რესურსის მოხმარების დონე და დავისახეთ კონკრეტული მიზნები:

- ფურცელზე ორმხრივი ბეჭდვის პრაქტიკის 100%-ით შენარჩუნება
- ქაღალდის მოხმარების 95%-ით შემცირება
- ბროშურების ბეჭდვაზე უარის თქმა
- ერთიანი შესყიდვების 25%-ით გაზრდა
- ოფისის ნარჩენების 30%-ის შემცირება
- პლასტმასის ნივთებზე დამოკიდებულების 25%-ით შემცირება

თავი 4: პარტნიორი ტურისტული სააგენტოები

კომპანიებთან თანამშრომლობის პოლიტიკა

ჯორჯიან დიემსი უპირატესობას ანიჭებს ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობას, რომლებსაც შემუშავებული აქვთ მდგრადობის პოლიტიკა და იგი მათი ბიზნეს მოდელის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მოველით, რომ ჩვენი პარტნიორები დააკმაყოფილებენ GSTC-ის მიერ აკრედიტირებული სერტიფიცირებების კრიტერიუმებს.

თავი 5: ტრანსპორტი

გადაადგილება დანიშნულების წერტილამდე

ჯორჯიან დიემსი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ტურებში გამოყენებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა არ გამოიწვიონ გარემოს საშუალოზე მეტი დაბინძურება. ჩვენ გვჯერა, რომ ტრანსპორტი მდგრადი ტურიზმის მნიშვნელოვანი ასპექტია და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევამციროთ ამ მიმართულებით გამოწვეული დაბინძურების დონე.

- ნახშირბადის გამოყოფის კუთხით, ვიყენებთ მაქსიმალურად ეფექტიან მარშრუტებს
- სადაც შესაძლებელია, ვიყენებთ სარკინიგზო ტრანსპორტს
- სატრანსპორტო საშუალებებიდან უპირატესობას ვანიჭებთ ავტობუსს
- მოგზაურებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას ვთავაზობთ
- ტურში ჯგუფის ზომის შესაბამის სატრანსპორტო საშუალებას ვიყენებთ

თავი 6: განთავსების საშუალებები

ბავშვთა იძულებითი შრომა

ჯორჯიან დიემსი ყურადღებით ეკიდება მის პარტნიორ სასტუმროებში ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხს. ჩვენ არ ვთანამშრომლობთ ისეთ განთავსების საშუალებებთან, რომლებიც ბავშვებს პირდაპირ ან ირიბად ზრდასრულთათვის განკუთვნილი საქმიანობების შესრულებას აიძულებენ. თუ რომელიმე დაწესებულება ბავშვებს ასაქმებს, მაშინ სამუშაო დრო და პირობები სრულ თანხვედრაში უნდა იყოს ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციასთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 138-ე კონვენციასთან.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ ბავშვთა შრომის საყოველთაოდ აღიარებული განმარტებით, რომელიც შემუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ - „ბავშვთა შრომა ბავშვებს ართმევს ბავშვობას, პოტენციალს და ღირსებას, რაც საზიანოა მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის“. ბავშვთა შრომა მოიცავს მუშაობის ისეთ ფორმებს, რომლებიც გონებრივად, ფიზიკურად, სოციალურად თუ მორალურად საშიში და საზიანოა ბავშვებისთვის. იგი ასევე ბაშვებს უზღუდავს სასკოლო განათლების მიღების უფლებას, ართმევს მათ სკოლაში სიარულის შესაძლებლობას, იძულებულს ხდის მათ მიატოვონ სასწავლო დაწესებულება ან სწავლა შეუთავსონ ზედმეტად ხანგრძლივ და მძიმე შრომას.

ბავშვების სექსუალური ექსპლოატაცია

ჯორჯიან დიემსი მის კონტრაქტორ სასტუმროებს ავალდებულებს, რომ აღკვეთონ ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია მათი დაწესებულების ფუნქციონირების ფარგლებში. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შეწყვიტოთ ხელშეკრულება ისეთ სერვისის მომწოდებელთან, რომელიც ვერ მიიღებს ადეკვატურ ზომებს ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის თავიდან ასაცილებლად.

ადგილობრივი საჯარო რესურსები

ჯორჯიან დიემსი უფლებას იტოვებს, რომ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს თანამშრომლობა სერვისის ისეთ მომწოდებელთან, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებას უზღუდავს წვდომას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებსა თუ სერვისებზე.

თავი 7: აქტივობები

ველური ბუნების დაცვა

ჯორჯიან დიემსი არ ახორციელებს ისეთ საექსკურსიო მომსახურებებს, რომლებიც ეფუძნება ცხოველთა დატყვევების პრინციპს. გამონაკლისია ისეთი აქტივობები, რომლებშიც ცხოველთა ექსპლოატაცია თანხვედრაშია ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო რეგულაციებთან. ექსკურსიები, რომლებიც მოიცავს ველურ ბუნებასთან ურთიერთობას, კონტროლდება შესაბამისი ქცევის კოდექსით. ეკოსისტემებში უარყოფითი ჩარევის შანსები მინიმუმამდეა დაყვანილი

ველური ბუნების ხელყოფა

ველური ბუნების სახეობების შეგროვება/მონადირება, პირადი მიზნებისთვის გამოყენება, გამოფენა, გაყიდვა ან მათით ვაჭრობა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი საქმიანობა თანხვედრაშია ადგილობრივ, ეროვნულ ან/და საერთაშორისო რეგულაციებთან და ხორციელდება მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით.

ჯორჯიან დიემსი არ უწყობს ხელს ისეთი სუვენირების რეალიზაციას, რომელებიც წარმო-ადგენენ საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორისა თუ ფაუნის სახეობებს. აღნიშნული სახეობების ნუსხა განსაზღვრულია "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციითა და "ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ შედგენილი „წითელი ნუსხის" დოკუმენტით. თუ ტურში ამ მიმართულებით რაიმე სახის დანაშაულებრივი ქცევა გამოვლინდება, ჯორჯიან დიემსი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება გაფრთხილების გარეშე ნებისმიერ მხარესთან.

ველურ ბუნებასთან ინტერაქცია

მოგზაურებისთვის ტურისტული სერვისის მიწოდების პროცესში, ჯორჯიან დიემსი მიზნად ისახავს ხელუხლებლად შეინარჩუნოს ადგილობრივი გარემო და საზოგადოებები. ჩვენი მიზანია დავიცვათ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, რისთვისაც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შევქმენით სპეციალური ინსტრუქციები. ჩვენ:

- ყურადღებით ვეკიდებით გარემოსთვის მინიმალური ზიანის მიყენების საკითხს და სტუმრებს მივუთითებთ ადგილობრივი ეკოსისტემების დაცვის მნიშვნელობაზე;
- მხარს ვუჭერთ ველური ბუნების დათვალიერების პასუხისმგებლიან მეთოდებს და ვეწინააღმდეგებით ისეთ აქტივობებს, რომლებიც უხეშად ერევიან ადგილობრივი ფლორისა თუ ფაუნის ცხოვრებაში;
- გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით პოპულარიზაციას ვუწევთ მრავალჯერადი გამოყენების და ეკო-მეგობრულ ნივთებს;
- სტუმრებს დეტალურ ინფორმაციას ვაწვდით მოსანახულებელი ტერიტორიის კულტურულ და ბუნებრივ მნიშვნელობაზე;
- ტურისტულ გიდებს ვავალდებულებთ, რომ სტუმრებს ბუნებაში მოქცევის დეტალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ;

- ვცდილობთ თავიდან ავირიდოთ კონკრეტული ტერიტორიებზე დიდი რაოდენობით ვიზიტორთა თავმოყრა, რისთვისაც ტურისტული ჯგუფის ზომაზე გარკვეულ შეზღუდვებს ვაწესებთ.

თავი 8: ტურლიდერები, რეგიონალური თანამშრომლები და გიდები

დასაქმების პირობები

ჯორჯიან დიემსი ტურლიდერებთან, გიდებთან და რეგიონალურ თანამშრომლებთან თანა-მშრომლობს მხოლოდ კონტრაქტის საფუძველზე, რათა მათი უფლებები დაცული იყოს ადგილობრივი კანონმდებლობითა და სხვა საერთაშორისო შრომითი სტანდარტებით. მათი სამსახურეობრივი მოვალეობები ნებისმიერი სახის თანამშრომლობის პირობებში მკაფიოდ არის გაწერილი შრომით ხელშეკრულებებში.

მომხმარებლებთან კომუნიკაცია

ჯორჯიან დიემსის ტურლიდერები, გიდები და რეგიონალური თანამშრომლები სტუმრებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიან ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: მდგრადი ქცევა, ადგილობრივი სოციალური ნორმები და წესები, ადამიანის უფლებები და სხვა.

თავი 9: ტურისტული ადგილმდებარეობები

აკრძალული სუვენირები

ჯორჯიან დიემსი და მისი პარტნიორი სერვისის მომწოდებელი კომპანიები არ ეწევიან ისეთი სუვენირებით ვაჭრობას, რომლებიც საფრთხეს აყენებენ ფლორას, ფაუნასა და ისტორიულ თუ არქეოლოგიურ არტეფაქტებს. აკრძალული სუვენირების სია კი შემდეგნაირია:

- დათვის ტყავი
- მელიის მოსასხამი
- მგლის მოსასხამი
- არჩვის რქები
- ჯიხვის რქები
- ნებისმიერი ცხოველის ფიტული
- სტალაქტიტების ან სტალაგმიტების ნამტვრევები
- გადაშენების პირას მყოფი მცენარეების თესლი
- მონეტები, ნახატები, სამკაულები და ხელნაწერები
- კულტურული მნიშვნელობის სამხედრო აღჭურვილობა
- ხელოვნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოპარული ნივთი

თავი 10: მომხმარებლებთან კომუნიკაცია და მათი დაცვა

პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა

ჯორჯიან დიემსი უსაფრთხოდ ინახავს მომხმარებელთა პირად ინფორმაციას. კომპანიაში მოქმედი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, შეესაბამება როგორც ადგილობრივ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. კონფიდენციალური ინფორმაცია ელექტრონულად ინახება ჩვენს მონაცემთა ბაზაში, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ ავტორიზებული თანამშრომლებისთვის. თითოეული მათგანი მკაცრად იცავს კონფიდენციალურობის პროცედურებს. თუ პირადი ინფორმაციის შემცველი რომელიმე დოკუმენტი შიდა მიზნებისთვის იბეჭდება, იგი ინახება ჩვენს ოფისში არსებულ საქაღალდეებში, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ მაღალი სანდოობის მქონე თანამშრომლებისთვის. თუ დოკუმენტები აღარ გამოიყენება, იგი ნადგურდება, შესაბამისი პროცედურების დაცვით.

- პერსონალური მონაცემები გროვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია კლიენტისთვის შეთავაზებული სერვისის განსახორციელებლად;
- ნებისმიერი პერსონალური მონაცემი ინახება მაქსიმუმ 1 წლის განმავლობაში
- კლიენტები ინფორმირებულები არიან მონაცემების შენახვის ჩვენი სისტემის შესახებ. მათ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა თავიანთი პერსონალური ინფორმაცია წაშალონ ჩვენი მონაცემთა ბაზიდან;
- ჩვენ პასუხიმგებელნი ვართ, რომ კლიენტების პირადი ინფორმაცია დაცულია და მათ მიერ მოწოდებული მონაცემები მაქსიმალურად უსაფრთხოდ და კონფიდენციალურად არის შენახული;
- იმ შემთხვევებში, თუ რომელიმე სერვისის განხორციელება მოითხოვს მესამე მხარისთვის კლიენტის პირადი მონაცემების გადაცემას, იგი დაუყოვნებლივ იღებს ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ.

ინფორმაციის გავრცელება და საჯარო კომუნიკაცია

ჯორჯიან დიემსი პასუხისმგებელია, რომ მისი მარკეტინგული ან სარეკლამო დოკუმენტები არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ჩვენ მომხმარებლებს არ ვპირდებით იმაზე მეტს ვიდრე რეალურად ვთავაზობთ. ჩვენი კომპანიის თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომ კლიენტებს მხოლოდ რეალური სერვისები შესთავაზოს.

სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია

ჯორჯიან დიემსი აქტიურად არის ჩართული სექსუალური ექსპლოატაციის პრევენციის პროცესში. ჩვენს შევიმუშავეთ მოწყვლადი პირების დაცვის მექანიზმები:

- განვავითარეთ ტრენინგ მოდული, რომლის ფარგლებშიც ჩვენი გიდები ეუფლებიან სექსუალური ექსპლოატაციის ან შევიწროვების ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისთვის საჭირო უნარებს. ტრენინგი ეფუძნება შემდეგი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ინსტრუქციებს: TheCode.org, ChildSafe, UNICEF, და ECPAT;

- ჩვენი თანამშრომლები ფლობენ სექსუალური ექსპლანტაციისა თუ შევიწროვების ფაქტის დასადგენად და მასზე ადეკვატური რეაგირების გასაწევად საჭირო ცოდნასა და უნარებს;
- ჯორჯიან დიემსის უმკაცრესი რეაქცია აქვს ნებისმიერი სახის ექსპლოატაციის ან შევიწროვების მიმართ. უფლებას ვიტოვებთ, დარღვევის აღმოჩენისთანავე ვაცნობოთ შესაბამის უწყებებს;
- სტუმრებს მოვუწოდებთ, რომ იყვნენ ფხიზლად და განაცხადონ ნებისმიერი საჭვო აქტივობის შესახებ;
- სტუმრებს წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ნებისმიერი საეჭვო აქტივობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ ჩვენს თანამშრომელს;
- გიდი სტუმრებს საინფორმაციო შეხვედრაზე დეტალურ ინფორმაციას აწვდის სექსუალური ექსპლოატაციის გამოვლენის ყველა შესაძლო სცენარის შესახებ;

სტუმრები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სექსუალური ექსპლოატაციის ფაქტის ხილვის შემთხვევაში. მათ დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გიდს, რომელიც მომენტალურად დარეკავს პოლიციაში და აღნიშნული ფაქტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენებს ჯორჯიან დიემსის მენეჯმენტს. სერვისის მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტის პირობების თანახმად, მათი ოპერირების არეალში აღმოჩენილი სექსუალური ექსპლოატაციის ნებისმიერი აქტი გამოწვევს თანამშრომლობის მომენტალურ შეწყვეტას.

ჯორჯიან დიემსიმ შეიმუშავა სექსუალური ექსპლოატაციის ფაქტის რეპორტინგის საკმაოდ გამჭვირვალე სისტემა. სტუმარი ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო ზარის საშუალებით ინფორმაციას აწვდის გიდს ან ტურის მენეჯერს, რომელიც შესაბამისი რეაგირებისთვის მომენტალურად აყენებს საქმის კურსში კომპანიის დირექტორსა და ოპერირების დირექტორს.

პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე სტუმრების ინფორმირების ინსტრუქცია	
გიდები სტუმრებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიან სექსუალური ექსპლოატაციის ფორმების შესახებ	გიდები სტუმრებს დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ თუ სად შეიძლება წააწყდნენ სექსუა-ლური ექსპლოატაციის ფაქტებს
– სექსუალური აქტი თანხის, სხვა მომსახურების ან ნივთების სანაცვლოდ – პორნოგრაფიული მასალების მომზადება ბავშვების მონაწილეობით – პროსტიტუცია – იძულებით დათანხმება ეროტიული შინაარსის მასალების გაგზავნაზე – სექსუალური შანტაჟი ონლაინ სივრცეში – მსხვერპლთა მოტყუება სოციალური მედიის საშუალებით – არასრულწლოვანთათვის დაქორწინების იძულება, რაც შეიძლება გულისხმობდეს სექსუალურ ექსპლუატაციას და ძალადობას – სხვა ფორმები	– ჯორჯიან დიემსის მიერ დაჯავშნილი ნებისმიერი სერვისის მომწოდებლის სივრცეში. მაგალითად: სასტუმროში, რესტორანში, მეღვინეობაში, ღირსშესანიშნაობის მიდამოებში და სხვა ადგილებში. – ნებისმიერი ისეთი სერვისის მომწოდებლის სივრცეში, რომელიც არ შედის ტურის პროგრამაში

რა უნდა მოიმოქმედონ სტუმრებმა?	რას მოიმოქმედებს ჯორჯიან დიემსი?
– სტუმრები მომენტალურად უნდა დაუკავშირდნენ გიდს და დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ სექსუალური ექსპლოატაციის ხილული ფაქტის შესახებ – რეკომენდირებულია, რომ სტუმრებმა ხილული ფაქტის მტკიცებულებისათვის გადაიღონ ინციდენტის ფოტო ან ვიდეო – სტუმრებმა საჭიროების შემთხვევაში მომენტალურად უნდა დაურეკონ პოლიციას	– ჯორჯიან დიემსი მომენტალურად შეწყვეტს თანამშრომლობას ისეთ სერვისის მომწოდებელთა, რომელიც მხილებული იქნება სექსუალური ექსპლოატაციის ხელშემწყობ გარემოებებში – ნებისმიერ შემთხვევას აღვწერთ, დავამუშავებთ და მასზე ავაგებთ ტრენინგ მოდულს, რათა შესაბამისად მოვამზადოთ ჩვენი თანამშრომლები – შევიმუშავებთ დამატებით ინსტრუქციებს

არალეგალური სუვენირები

ჯორჯიან დიემსი აცნობიერებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია არალეგალური სუვენირების ყიდვა-გაყიდვის პრევენცია. შესაბამისად ჩვენი გიდები სტუმრებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიან არალეგალური სუვენირების შეძენისგან თავის დაცვის მექანიზმებზე.

<u>არალეგალური სუვენირების ტიპები:</u>

- □ არქეოლოგიურ ძეგლებთან დაკავშირებული ისეთი არტეფაქტები ან/და რელიქვიები, რომლებსაც არ აქვთ სათანადო დოკუმენტაცია;
- □ გადაშენების პირას მყოფი სახეობების სხეულის ნაწილებისგან (მაგ. სპილოს ძვალი, კუს ბაკანი, ტყავი და სხვა) დამზადებული ნივთები;
- □ შესაბამისი დოკუმენტაციის არ მქონე რელიგიური ან კულტურული დანიშნულების ნივთები;
- □ ისეთი ნივთები, რომელთა დამზადება, ყიდვა და გაყიდვა ეწინააღმდეგება „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES)“ საერთაშორისო კონვენციას;
- □ ისეთი ნივთები, რომელთა ნამდვილობის ან/და კანონიერების დასამტკიცებლად ყალბი დოკუმენტაცია გამოიყენება;
- □ სუვენირები, რომლებიც შეიცავს არალეგალურ, გარემოსთვის საზიანო ნივთიერებებს ან წინააღმდეგობაში მოდის ადგილობრივ კანონმდებლობასთან;
- □ სუვენირები, რომლებიც უკანონოდ არის მოპოვებული ნაკრძალებსა თუ დაცულ ტერიტორიებზე.

<u>არალეგალური სუვენირების შეძენისგან თავის არიდების რეკომენდაციები:</u>

- □ სუვენირის შეძენამდე დეტალურად გაეცანით მასთან დაკავშირებულ ადგილობრივ კანონმდებლობას;
- □ ნებისმიერი ნივთის ან არტეფაქტის შეძენისას მოთხოვეთ მისი კანონიერების ან/და ლეგალურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- □ თავი შეიკავეთ ისეთი სუვენირების შეძენისგან, რომლებიც კავშირშია გადაშენების პირას მყოფი ფლორისა თუ ფაუნის სახეობებთან;

- შეარჩიეთ ისეთი სუვენირებით მოვაჭრე სუბიექტები, რომლებიც იცავენ ლეგალურ და ეთიკურ სტანდარტებს;
- სუვენირის შეძენამდე თქვენს გიდს ჰკითხეთ მისი კანონიერების შესახებ.

ჯორჯიან დიემსის მენეჯმენტის ხელმოწერა